ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

23.10.2023 წელი
15.00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: ლოლიტა ურუშაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, კახა თედორაძე, სპარტაკ კვაჭაძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გივი ცინცაძე, ემზარ თევდორაძე, ზაზა წულაძე, ელისო ჭიჭინაძე.
მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსი **მაია აფხაზავა.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე; 5. წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო პროექტების განყოფილების უფროსმა **მაია აფხაზავამ** განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“

განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტი (პროექტის თანადაფინანსებას მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 132 261,19 (ასოცდათორმეტიათას ორასსამოცდაერთი ლარი და ცხრამეტი თეთრი) დანართის შესაბამისად.“

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის განკარგულების პროექტი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს;

მომხრე ; 5. წინააღმდეგი: არცერთი.

2. სხვადასხვა.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სუფსის საჯარო სკოლის შენობა, რომელიც შეიძლება ისტორიულიც იყოს, მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. აღნიშული თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ვხედავთ, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სკოლის შენობების რემონტები და სუფსის სკოლის შენობის რეაბილიტაციის პროცესი არ დაწყებულა. მოსწავლეთა მშობლები მზად არიან, თუ საჭიროება მოითხოვს, შეაგროვონ შესაბამისი ხელმოწერები. სოფლის პოზიციაა, რომ განათლების სამინისტრომ მიაწოდოს ინფორმაცია როდის იგეგმება აღნიშნული პროექტის განხორციელება.

ასევე **ჯუმბერ ბლაგიძემ** მოითხოვა, რომ გრიგოლეთში ლანჩხუთის მიმართულებით საავტომობილო გზის მონაკვეთზე არ არსებობს მგზავრთა მოსაცდელები რაც სერიოზულ დისკომფორტს უქმნის მოქალაქეებს. აუცილებელია მოსაცდელების გაკეთება.

ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ ქალაქ ლანჩხუთში შიდა ქუჩების რეაბილიტაციისთვის დამატებით გამოყოფილია დაფინანსება, რომელშიც შედის ურუშაძის ქუჩის აღდგენა. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ამ ქუჩის გასწვრივ გაყვანილია ქალაქის მოქმედი მთავარი საკანალიზაციო მილი და რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გზის ასფალტის საფარის მოწყობის დროს.

ჯუმბერ ბლაგიძემ გამოთქვა აზრი, რომ სასურველია მუნიციპალიტეტმა მოითხოვოს ცნობილი სტიქიური მოვლენით დაზარალებულ მოსახლეობისთვის, სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე მიღებული ზარალის კომპენსაციას ცენტრალური ხელისუფლებისაგან.

დეპუტატმა კახა თედორაძემ აღნიშნა, რომ ღრმაღელეში თუთაშვილების უბანში არსებული ხიდი ამორტიზირებულია და მოითხოვს აღდგენას. ასევე აუცილებელია ექსპერტიზა ჩაუტარდეს საუკუნეზე მეტი ხნის საავტომობილო ხიდს ტვირთ გამტარიანობაზე რადგან აღნიშნული ხიდი გამოიყენება მისაბმელიანი ავტოთვიმცლელების მიერ. აუცილებელია ღრმაღელე-სუფსის ახალ გაკეთებულ საავტომობილო გზაზე მოეწყოს სიჩქარის შემზღუდველი საგზაო ნიშნები.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N5

2023 წლის 23 ოქტომბერსს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პროექტ „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N74 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

23.10.2023 წელი.
15:00 საათზე.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	14-51	
2.	ემზარ თევდორაძე	—	არ ესწრებოდა
3.	სპარტაკ კვაჭაძე	14-57	
4.	ელისო ჭიჭინაძე	—	არ ესწრებოდა
5.	კახა თედორაძე	1450'	
6.	ლოლიტა ურუშაძე	14,50	
7.	ზაზა წულაძე	—	არ ესწრებოდა
8.	გივი ცინცაძე	—	არ ესწრებოდა
9.	ჯუმბერ ბლაგიძე	1455	